პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 46-ე წელი. № 42 (13436) | შაბათი, 19 თებერვალი, 1966 წ. | ფასი 2 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის ლენინური პრემიების კომიტეტის გადაწყვეტილება

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის ლენინური პრემიების კომიტეტი იუწყება, რომ 1966 წლის ლენინური პრემიების მოსაპოვებლად კონკურსში მონაწილეობისათვის დამვებულია შემდეგი ნაშრომები:

მეცნიერების დარგში:

1. ა. ა. აბრიკოსოვი, ვ. ლ. გინზბურგი, ლ. პ. გორკოვი. „ზებამტარი შენაერთებებისა და ძლიერი მაგნიტურ ველებში ზებამტართა თვისებების თეორია“.

წარმოდგენა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის თეორიული ფიზიკის ინსტიტუტმა.

2. გ. ი. ბუდკერი, ა. ა. ნაუმოვი, ა. ნ. სკრინსკი, ვ. ა. სიდოროვი, ვ. ს. პანასიუკი, ს. გ. პოპოვი, გ. ა. ბლინოვი, ა. ა. ლიუშიცი, ა. ვ. კისელიოვი. „შემსვლელი ელექტრონ-ელექტრონული და პოზიტრონ-ელექტრონული კონების მყარი ანჯაკარებელ დანადგართა შექმნა“.

წარმოდგენა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების პრეზიდიუმმა.

3. ა. ს. დავიდოვი, ა. ფ. პრიხოტკო, ე. ფ. ვროხი. „კრისტალური ექსციონების თეორიული და ექსპერიმენტული კვლევა“.

წარმოდგენა უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტმა.

4. ი. მ. ლიფშიცი, მ. ი. აზბელი, ე. ა. კანერი, მ. ს. ბაიკინი. „ელექტრონული ენერგეტიკული ექსციტონთა რეზონანსული ელექტრული თეორიული და ექსპერიმენტული კვლევა“.

წარმოდგენა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ს. ი. ვავილოვის სახელობის ფიზიკური პრობლემების ინსტიტუტმა.

5. ვ. ს. ტროიცკი, ვ. დ. კროტკოვი, ა. ვ. კისლიაკოვი. „მთვარის ზედა საფარის რადიოფიზიკური კვლევის მეთოდების შემუშავება და შედეგები“.

წარმოდგენა გორკის ნ. ი. ლობაჩევსკის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულმა რადიოფიზიკის სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა.

6. ვ. ნ. ფლეროვი, ვ. ნ. ვიალოვი, ბ. ა. ზაგერი, ინდრუან გრიგორე, ა. ფ. ლინევი, ბ. ნ. მაკოვი, ი. ფ. ბალიშევი, ი. ც. ოგანესიანი, ა. ს. პასიუკი, ვ. მ. პლოტკო, ვ. ა. ჩუგრეევი, ი. ა. შელეევი. „ძმიმე იონების ინტენსიურ კონათა მისაღები ჭიქა-სანტიმეტრიანი ციკლოტრონის შემუშავება და სრულყოფა“.

წარმოდგენა ატომური კვლევის გაერთიანებულმა ინსტიტუტმა.

7. ა. ნ. ჩარახჩიანი. „ზეგეს ბენერირებული კოსმოსური სხივების ინტენსივობის ძლავრი ფლუქტუაციები“.

წარმოდგენა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პ. ნ. ლებედევის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტმა.

8. ნ. ვ. ეფიმოვი. „თანმისებურებათა წარმოქმნა უარყოფითი სიმრავლის ზედაპირებზე“.

წარმოდგენილ მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტმა და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვ. ა. სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტმა.

9. ი. ი. ეურავლიოვი, ო. ბ. ლუბანოვი, ს. ვ. იაბლონსკი. „ნაშრომთა ციკლი მათემატიკურ კიბერნეტიკაში (დისკრეტული ანალიზი)“.

წარმოდგენილ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკის ინსტიტუტმა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების მათემატიკის ინსტიტუტმა და უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტმა.

10. ვ. კ. ივანოვი, ა. ნ. ტიხონოვი. „ნაშრომთა ციკლი არაკორექტულ ამოცანათა შესახებ“.

წარმოდგენილნ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვ. ა. სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სვერდლოვსკის განყოფილებამ, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკის ინსტიტუტმა და უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტმა.

11. ი. ი. მანინი. „ნაშრომთა ციკლი ალგებრულ მრუდთა და აბელის მრავალსახეობათა თეორიაში“.

წარმოდგენა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვ. ა. სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სვერდლოვსკის განყოფილებამ, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკის ინსტიტუტმა და უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტმა.

12. ს. პ. ნოვიკოვი. „ნაშრომთა ციკლი დიფერენციერებად მრავალსახეობათა შესახებ“.

წარმოდგენა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვ. ა. სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტმა.

13. ნ. ს. ნინოკოლოპოვი. „ჰეტეროჯანსურ პოლიმერთა წარმოქმნის კინეტიკა და მექანიზმი“.

წარმოდგენა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ქიმიური ფიზიკის ინსტიტუტმა.

14. ა. ნ. ნესმეიანოვი. „ციკლი გამოკვლევებისა ელემენტორგანულ შენაერთთა დარგში“.

წარმოდგენილ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ელემენტორგანულ შენაერთთა ინსტიტუტმა, მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტმა და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნ. დ. ზელინსკის სახელობის ორგანული ქიმიის ინსტიტუტმა.

15. ი. ა. კუზნეცოვი. „მაბმრ ფორმაციათა მთავარი ტიპები“.

წარმოდგენა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების გეოლოგიისა და გეოფიზიკის ინსტიტუტმა.

16. ი. ა. ორლოვი, ბ. ს. სოკოლოვი, ვ. ე. ერუანცევი, ბ. პ. მარკოვსკი. „პალეონტოლოგიის საფუძვლები“ (15 ტომად).

წარმოდგენა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიის ინსტიტუტმა.

17. ბ. ბ. უდინცევი, ვ. ფ. კანაევი, ნ. ლ. ზენკევიჩი, ლ. ი. ბუდანოვა, ნ. ა. მაროვა, გ. ვ. აგაპოვა, ლ. კ. ზატონსკი, ი. პ. კუჩეროვი. „ოუა „ფენარი ოკეანის ფსკერის რელიეფი“ (მასშტაბი 1:10.000.000).

წარმოდგენა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ოკეანოლოგიის ინსტიტუტმა.

18. ე. გ. ბობროვი, ა. ვ. ბეკრიაშოვა-ბორისოვა, ი. ტ. ვასილჩენკო, ა. ი. ვეიდენსკი, მ. მ. ილინი, ი. ა. ლინჩევსკი, ი. ე. პობედიმოვი, ბ. ვ. პობოვი, ა. ი. პოიარკოვა, ა. ა. ფედოროვი, ბ. კ. შიშკინი, ს. ვ. იუზეპჩუკი, ა. ი. იუსკიპი. „სსრ კავშირის ფლორა“ (18-30 ტომები).

წარმოდგენა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვ. ლ. კომაროვის სახელობის ბოტანიკის ინსტიტუტმა.

19. ნ. ვ. დუბინინი. „ნაშრომთა კომპლექსი ზოგადი და რაციონალური გენეტიკის დარგში“.

წარმოდგენილ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების ციტოლოგიისა და გენეტიკის ინსტიტუტმა და უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტმა.

20. ვ. ფ. ასმუსი. „XVIII საუკუნის ბერძნული ესთეტიკა“, „დეკარტი“, „ინტუიციის კონცეფცია ფილოსოფიასა და მათემატიკაში“ (XVII-XX საუკუნეების ისტორიის ნარკვევი).

წარმოდგენილ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტმა და მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტმა.

21. მ. ტ. ოფიჩეკი, მ. ბ. მიტინი, მ. ა. დინოკი, ბ. მ. კედროვი ტ. ი. ოიზერმანი, ა. ფ. ოკულოვი, ო. ვ. ტრახტენბერგი, ვ. მ. კაგანოვი, ლ. ა. კოგანი, ი. ვ. კუზნეცოვი, ა. გ. მისლოვიჩენკო. „ფილოსოფიის ისტორია“ (6 ტომად).

წარმოდგენილ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტმა და უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტმა.

22. ა. ი. ნესტეროვი, ე. მ. ტარეევი. „კოლაგენოზთა კლინიკის პრობლემის დამუშავება“.

წარმოდგენა მოსკოვის ი. მ. სეჩენოვის სახელობის პირველმა სამედიცინო ინსტიტუტმა.

23. ს. ა. რეინბერგი. „ძვლებისა და სახსრების დაავადებათა რენტგენო-დიაგნოსტიკა“.

წარმოდგენა სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ექიმთა დახელოვნების ცენტრალურმა ინსტიტუტმა.

24. ი. ი. კირილოვი. „ტურბომანქანების თეორია და დაპროექტება: „ტურბომანქანების თეორია“, „გაზის ტურბინები და გაზტურბინის დანადგარები“; „ორთქლისა და გაზის ტურბინების ავტომატური რეგულირება“.

წარმოდგენა ი. ი. პოლზუნოვის სახელობის ქვაბტურბინის ცენტრალურმა სამეცნიერო-საკვლევმა და საპროექტო-საკონსტრუქტორო ინსტიტუტმა.

25. ა. ა. ფელდბაუმი. „ნაშრომთა ციკლი ოპტიმალური მართვისა და თვითანწყობადი სისტემების თეორიის დარგში“.

წარმოდგენა ავტომატიკისა და ტელემექანიკის (ტექნიკური კიბერნეტიკის) ინსტიტუტმა.

ტექნიკის დარგში

1. ფ. ვ. ანოსოვი, ს. ი. გაიცხოკი, ს. ა. გრანოვსკი, ა. ა. გრუზდევი, ვ. მ. მალიშევი, ნ. ა. ხოკოლოვი, გ. ს. ჩიგგოლევი, ი. პ. იანკოვსკი. „ბრაგსის ელექტროელექტრონულ-ელექტრული ტურბინების შექმნა“.

წარმოდგენა ლენინგრადის ეკონომიური რაიონის ყოფილმა სახალხო მეურნეობის საბჭომ.

2. ე. ა. ბელოვი, ა. ა. შოროხოვი, პ. ფ. ბლაზატოვი, ვ. დ. ტიუტკოვი, გ. ასმედოვი, ა. ნ. პრიხოდკო, ა. ვ. ისაევი, ვ. ა. ტიუპკო, დ. კუჩიევი, ტ. ახუნოვი, მ. ჯალალოვი, მ. დადაჯანოვი. „ბამბაბასალეი ვერტიკალურ-ფენიდელური ორმწარმავი მანქანა — მანქანათა კონსტრუქციების შემუშავება, სერიული წარმოება და დანერგვა სოფლის მეურნეობაში“.

წარმოდგენილნ უზბეკეთის სსრ ფინანსთა სახალხო მეურნეობის საბჭომ, უზბეკეთის სსრ მინისტრთა საბჭოს უზბეკეთის გაერთიანება „უზბეკსოფლტექნიკამ“ და უზბეკეთის სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ.

3. ვ. მ. ბერმანი, ვ. ი. გოლოვკო, ნ. გ. გრიშინი, ა. ვ. დოკუკინი, ფ. ა. ელენკინი, ა. ვ. ივანოვი, ვ. გ. ლინიცკი, ი. ფ. პონომარენკო, ა. ი. როგოვი, ს. ნ. ფატეევი, ვ. ნ. ხორინი, ა. ი. ჩერნიშევი. „ნაშრომთა კომპლექსი: „ძმანახშირის მრეწველობისათვის ცენტრიდანული და მოცულობითი ჰიდროგადაცემების შექმნისა და გამოყენების დარგში“.

წარმოდგენილ ს. ა. სოკოჩინსკის სახელობის სამთო საქმის ინსტიტუტმა და ქვანახშირის მანქანათმშენებლობის სახელმწიფო საპროექტო-საკონსტრუქტორო და საექსპერიმენტო ინსტიტუტმა.

4. დ. პ. ბუზინი, ე. ი. ბენენსონი, გ. ი. ბლაგოდარიოფი, ი. ი. ლობანოვი, ს. ვ. მიხაილოვი, მ. ი. ნეუმინი, ა. ვ. რაბინოვიჩი, პ. ე. ტხორა, ბ. ა. იაზოვი. „100 ათასი კილოვატი სიმძლავრის იმ ტ-100-130 თბოფიკაციური ორთქლის ტურბინის კონსტრუქციის შემუშავება, სერიული წარმოების ათვისება და სახალხო მეურნეობაში დანერგვა, რომლის ორთქლის საწყისი პარამეტრია 130 ატმოსფერო და 565 გრადუსი ცელსიუსით“.

წარმოდგენა შუა ურალის ეკონომიური რაიონის ყოფილმა სახალხო მეურნეობის საბჭომ.

5. მ. ვ. ვასილჩიკოვი, ვ. ვ. იაკიმანსკი, მ. ვ. ბარბარიჩი, მ. ი. ბასოვი, ი. ი. კირიჩინსკი, ვ. ფ. მუკონინი, ნ. ა. შლიაპინი, ი. ნ. შკლიაროვი, ნ. ა. ბედინი, ს. მ. ხაზინი. „მსხვილმოდულიანი კბილანა თვლების დასამზადებელი მოწყობილობის ახალი პროცესისა და კომპლექსის შექმნა“.

წარმოდგენილ სრულიად საკავშირო მეტალურგიული მანქანათმშენებლობის სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა და საავტომობილო მრეწველობის ტექნოლოგიის სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა.

6. მ. მ. დუბროვი, დ. მ. ზარუბინი, ვ. მ. ზდორკინი, მ. ა. კრავცოვი, მ. ა. მაკარიჩევი, ნ. ფ. მეიერი, დ. დ. პოკროვსკი, ი. ს. პეტროვსკინი, ვ. კ. სემიონოვი, ვ. ი. სერგეევი, ს. ა. სოლკინი, ვ. ვ. ტროფიმოვი. „კომპლექსური ავტომატიზაციის საშუალებათა და ავტომატურ გადასაგდელ მოწყობილობათა შექმნა და დანერგვა სამდინარო ფლოტის გემებზე“.

წარმოდგენა რუსეთის სფსრ სამდინარო ფლოტის სამინისტრომ.

7. ნ. ა. კოვალიოვი, ა. ვ. ბუტუზოვი, ვ. დ. ვერბიცკი, მ. ნ. ეფიმოვი, ვ. ი. ზილბერბერგი, ნ. ა. მატვეევი, ე. ს. ნაიდენოვი, ბ. ა. პეპელინი, კ. ლ. რასკინი, ი. ბ. სოკოლი, პ. ფ. ფადეევი, ა. ნ. შესტაკოვი. „ბამოდნობილი მოდელების მიხსნაში ჩამოსხმის მეთოდით მანქანათა დეტალების ტიპური ავტომატური წარმოების შექმნა და დანერგვა და მოწყობილობის სერიული დამზადების ორგანიზაცია“.

წარმოდგენა საავტომობილო მრეწველობის ტექნოლოგიის სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა.

8. ვ. კ. ლებედევი, ს. ი. კუჩუკ-იაცენკო, ვ. ა. სახარნოვი, ს. ა. სოლოდოვნიკოვი, ლ. ა. კორობანოვი, ვ. ფ. კოლესნიკოვი. „საველე პირობებში რკინიგზის ლიანდაგების რემონტის და მუშენებლობის დროს რელსების შედუღების ტექნოლოგიისა და მოწყობილობის დამუშავება“.

წარმოდგენა ურალის ეკონომიური რაიონის ყოფილმა სახალხო მეურნეობის საბჭომ.

9. ა. მ. ლიასი, პ. ა. ბორსუკი, კ. ი. ვაშჩენკო, ე. ტ. დოლბენკო, ს. ს. ეუკოვსკი, გ. ი. კლეცკინი, ნ. ა. კუზნეცოვი, ა. გ. ნეპომნიაშჩი, ი. ა. ონუფრიკეი, ი. ვ. ოფოკინი, ნ. ი. სტრელნიკოვი, ა. ს. ტკაჩენკო. „მრეწველობაში სამსხვლო წარმოების პრინციპულად ახალი ტექნოლოგიის დამუშავება და დანერგვა — თხევადი თვითმოყალიბადი ნარევებისაგან ლერძებისა და ყალიბების დამზადება“.

წარმოდგენილ ტექნოლოგიისა და მანქანათმშენებლობის ცენტრალურმა სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ, უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს ყოფილმა სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა საკოორდინაციო სახელმწიფო კომიტეტმა და მოსკოვის საქალაქო ეკონომიური რაიონის ყოფილმა სახალხო მეურნეობის საბჭომ.

10. ბ. პ. პოპოვ-ილინი, ა. ე. კობრინსკი, ი. ს. იაკობსონი, ე. ბ. პოლიანი, ი. ლ. სლავუცკი, ა. ი. სისინი, დ. მ. იოფე, ლ. მ. ვოსკობინოკოვი, ვ. ს. გურფინკელი, ვ. მ. ბერნშტეინი, ა. ნ. სკაჩკოვი, ი. ი. რემიზოვი. „ბიოელექტრულ სამართავიანი წინამძღვრის პროთეზი“.

წარმოდგენა რუსეთის სფსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს პროთეზებისა და პროთეზდამზადების ცენტრალურმა სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა.

11. ვ. მ. ტუჩკევიჩი, ვ. ე. ჩელნოკოვი, ი. ვ. კრეხოვი, ვ. ბ. შუმანი, ი. ა. ლინინჩუკი, ნ. ი. იაკოვჩიკი, ი. ი. ვასილიევი, ი. გ. უჩაიკინი, ი. ა. ტეპმანი, ა. დ. ბულკინი, ლ. ნ. კრილოვი, ა. ი. პეტროვა. „რ-3 ბაფასასგზელებიანი რთული სტრუქტურების კვლევა, აკვბაფის ძალური ენერგიების დამზადების ტექნოლოგიის შემუშავება და სერიულ წარმოებაში დანერგვა, რომლებმაც უზრუნველყვეს მათ საფუძველზე ბარდამძლეული აპარატების დამუშავება და ბამოუვება“.

წარმოდგენილ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ა. ფ. იოფეს სახელობის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტმა და სარანსკის ქარხანა „ელექტროვაკუუმიტელმი“.

12. კ. ბ. აზიროვი, ა. ი. გუბანოვი, პ. ვ. ივანოვი, ვ. ი. კოლგანოვი, ვ. ი. მურავლენკო, მ. გ. ოსიპოვი, ბ. ფ. საზონოვი, მ. ლ. სურგუჩევი, დ. ა. ტაკოვი, ი. ლ. ხანინი. „ძუნბიზეების ოლქის ნავთობის საბადოთა დამუშავების პროგრესული სისტემების მეცნიერული დასაბუთება და პრაქტიკული დანერგვა“.

წარმოდგენილ სსკკ კუიბიშევის საოლქო კომიტეტმა, სსრ კავშირის ნავთობმომპოვებელი მრეწველობის სამინისტრომ და ნავთობდასამუშავებელი მრეწველობის დაპროექტებისა და საკვლევ სამუშაოთა სახელმწიფო ინსტიტუტმა.

13. გ. მ. ბაგმანოვი, ვ. ი. იგრეკსკი, ვ. ი. მიშჩევიჩი, კ. შ. ნაზიპოვი, ა. დ. ობროსოვი, ტ. ფ. რუსტამბეკოვი, ს. გ. სკრიპნიკი, ვ. დ. შაშინი, ე. ი. შვეიცოვი. „ბურღვის სამუშაოთა ტექნიკის, ტექნოლოგიისა და ორგანიზაციის ძირეული სრულყოფა, რამაც 1952-1964 წლებში უზრუნველყო თათრეთის ასსრ ნავთობის უდიდეს საბადოთა ამუშავება მაღალი ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლებით“.

წარმოდგენილ ყოფილმა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულმა ნავთობმომპოვებელი მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტმა, სკკპ თათრეთის საოლქო კომიტეტმა და გეოლოგიისა „თათრნაფთობმმა“.

14. ვ. ი. ბობკოვი, ნ. ი. გუბინი, ლ. მ. კაზაკოვი, გ. ი. კონოვალოვი, ა. ი. ლევკოვი, ე. ი. მალჩენკო, ვ. ვ. მოხოვკოვი, გ. ი. ნოვოდახინი, ლ. ზ. პოდოლსკი, მ. ს. კორობოვი, გ. დ. პოტაპენკო, ა. ა. სუბოტინი. „ოკისპირა ეკონომიური რაიონის უსახლეთის კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის საშუალებათა შექმნა და განსორციელება“.

წარმოდგენა ოკისპირა ეკონომიური რაიონის ყოფილმა სახალხო მეურნეობის საბჭომ.

15. ზ. ა. ბურლიაევი, ი. ი. ვეტროვი, ა. ვ. პროსნიაკოვი, ბ. ტ. საკსეევი, ა. ს. სოკოლოვი, პ. ვ. ციურუპა, ა. ა. შუგინი, ნ. დ. ელანი, ვ. გ. იურკოვა. „კარპატისწინეთის თვითნაბადი გოგირდის აუზის აღმოჩენა და დაზვერვა“.

წარმოდგენა კიევის გეოლოგიურ-სადაზვერვო ტრესტმა „კიევგეოლოგიამ“.

16. დ. ა. დოსმუხამბეტოვი, ბ. ფ. დიაკოვი, ე. ი. ივანოვი, ნ. ა. იმაშევი, ვ. ბ. მატვეევი, ვ. პ. ტოკარევი, ხ. ე. უზბეკალიევი, ნ. ნ. ჩერეპანოვი, პ. დ. შლიჩკინი. „სამხრეთ მანგიშლაური ნავთოობა და გაზის პროვინციის ადმოჩენა და „უზენისა“ და „ტენგიზის“ საბადოების დაზვერვა“.

წარმოდგენილ ყაზახეთის სსრ ყოფილმა სახელმწიფო საწარმოო გეოლოგიურმა კომიტეტმა და დასავლეთ ყაზახეთის ეკონომიური რაიონის ყოფილმა სახალხო მეურნეობის საბჭომ.

17. ბ. ვ. სუდნიშნიკოვი, პ. მ. ემელიანოვი, გ. ი. სუკსოვი, ლ. ნ. სემიონოვი, ნ. ა. ჩინაკალი, ნ. ნ. ესინი, ა. ა. ნოსოვი, ა. ა. ვლასოვი, ი. ა. კუპრეევი, პ. პ. ლიაპტა, ე. ა. ჩერნლოგი, ს. პ. ბუკკო, ა. კ. სიდორენკო. „მიწისქვეშა პირობებში ჰაბურღილების ბურღვისათვის მეცნიერული საფუძვლების შემუშავება, მაღალი წარმადობის მექანიზმების კომპლექსის შექმნა და წარმოებაში დანერგვა“.

წარმოდგენილ ყოფილმა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულმა შავი და ფერადი მეტალურგიის სახელმწიფო კომიტეტმა და ი. პ. ბარდინის სახელმწიფო საკარო სამეცნიერო-ტექნიკურ ბიბლიოთეკაში (მოსკოვი, კუზნეცკი მოსტი 12).

კომიტეტი გთხოვთ გამოგზავნოთ თქვენი შენიშვნები, საზოგადოებრივი განხილვის მასალები ნაშრომებისა და მათ ავტორთა კოლექტივების შემადგენლობის შესახებ ამა წლის 25 მარტამდე შემდეგი მისამართით: მოსკოვი, ი-51 ნეგლინნაია ქ. სახლი № 29/14.

იშვიათი პროფესიის ადამიანები

ხელმარჯვე ოსტატი

დესინატორი მანიატურული ჩუქურთმების ოსტატს ჰგავს. აქ, მოსაგზადებელ სამჭრელში, იწყება მის მიერ შექმნილი აბრეშუმის ქსოვილის დამზადება... ხანგრძლივი ძიების შემდეგ მიგნებული და მერე ქალაღზე გადატანილი პაწაწინა კვადრატების კრიალასანი თაგისი მასშტაბით ომმდენადმე მცირდება. დგომ-სავარცხელში იკვანძება უთვალავ ძაფთა გამმული. ჩართავს თუ ორა ქვეოსტატი საქსოვ დაზგას, ჩანგის ლარებივით შეიოხვიან ხასხასა ბრეშუმის ძაფები და იბადება ახალი ქსოვილი, რომელიც ხან ობობას ქსელივით მსუბუქი და გამქვირვალეა, ხან მდინარის ბაკლიკით ელასტიკური.

მერე კოლორისტის მაღლიანი ხელი შეეხება ამ სიფრაფაწა ძაფების გვირისტს; აკვარელივით ფაქიზ ტონებს შეუხამებს, მხატვარი კი ქსოვილს მოხატავს. ფერები ბევრია; მოტივებიც უამრავი. ის თვითონ ბუნებაშია ყვავილების ფერადოვანი ბუტკის სახით. ქსოვილის ქარგას რომ შეუბამაკნილო მდელოსფერი ან ცისარტყელას სხვა რომელიმე ფერი, ეს მხატვრისაგან დიდ ოსტატობას მოითხოვს. აგერ ახლა იგი მდელოსფერ ფონზე პაწია ენძელების ღეროების შტრიხებს გაანავსებს, და ამეტყველდება მსუბუქი ქსოვილი, რომელიც ჩინებულად წაიკითხება გაზაფხულის პეიზაჟში...

უკვე ხორცშესხმულ ნაწარმოებს ბედნიერი ღიმილით დაჰყურებს თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის დესინატორი ნუნუ ცერცვაძე. ეს ქსოვილი ხომ მისი ფანტაზიის ნაყოფია, მრავალი დაძაბული დღეების შედეგი. თუმცა მთავარი ჯერ კიდევ წინ არის — სამხატვრო საბჭოს მკაცრი ეიური და კიდევ უფრო მკაცრი შეფასებელი — მომხმარებელი.

გუშინდელივით ახსოვს ნუნუ ცერცვაძეს ამ თერმეტი წლის წინათ პოლიტექნიკური ინსტიტუტის საფეიერო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ ფაბრიკაში რომ მოვიდა. უჩვეულო იყო მისთვის საწარმოს ხმაურიანი საამქროები. ამან ოდნავ შეაკრთო კიდეც. ინსტიტუტში ნუნუ ხომ თეორიულად ეუფლებოდა ქსოვილის შექმნის ტექნოლოგიას. აქ კი სულ სხვა იყო — პრაქტიკული, დამოუკიდებელი მუშაობის დასაწყისი, შეს... და კოლექტივი. ძიების, შრომის პროცესი ყოველთვის დაძაბული და მოულვარებით სავსე იყო. პირველი წარმატება ითოლად როდი მოვიდა. დესინატორი დადიოდა სხვადასხვა მხატვრულ და ტექნიკურ გამოფენებზე. დიდხანს აკვირდებოდა მუზეუმებში ქართველ ფეიქართა შექმნილ უძველეს ქსოვილებს, სარტყელ-გულისპირზე ოქრომკედით ამოქარგულ გაფრენილი ირმის სილუეტებს, ფერადებს, ვაზის ლეწვების და ყურძნის ტეგვნების უთვალავ მოტივებს; სიცოცხლის ხისა და ფრთოსანი მზის, ფასკუნჯების იმპრეზიზებულ გამოსახულებებს; ფარჩის კაბებს, ტუნიკებს და ახალუხებს, რომლებსაც დღესაც არ დაუკარგავთ ფერი და გვირისტის სიმტკიცე...

წინაპართა ნაოსტატარი შრომის ხალისს უთვალეცებდა. და ქალაღზე ჩნდებოდა ქსოვილის ახალი გეგმა. ჯერ დაუწერელი ნაწარმოების კონტურები, კვადრატები, ბეღურას ნაფეხურებივით მწკრივდებოდნენ ქალაღზე...

„ამ ქსოვილს თეთრი ფონი და პაწია მოკრძალებული გვირილები მოუხდებიო“... ფიქრობდა ნუნუ. მერე თუ მხატვრისა და კოლორისტის ჩანაფიქრი დაახლოებით მაინც დამთხვეოდა მის ნაანარევს, გრძნობდა, რომ არ შემცდარა, სწორად გადაუწყვეტია ქსოვილის კონსტრუქცია.

ეს ხომ ძალიან დამშვენებს გოგონებს, ახალგაზრდა ქალებს, ჩვენს დიასახლისებს? ხალისიან განწყობილებას შეიქმნის მათ და, თუ ქსოვილი ელეგანტურადაც შეიკერება, უთუოდ ქმაყოფილი დარჩება არა მარტო მომხმარებელი, არამედ ამ ქსოვილის ავტორიც.

საოცარია, მაგრამ ფაქტია. დესინატორი პერსპექტივაში უნდა ითვალისწინებდეს ქსოვილის დაბდების ყოველგვარ წვრილმანს. ყველა რომ ასე ფიქრობდეს, მაშინ მაღაზიის ვიტრინებში ზოგჯერ აღარ გახუნდება გასაყიდად გამოტანილი ქსოვილი, რომელსაც არც ზარისხი აქვს- და არც ფერთა შეფერილობა.

1961 წელი. მოსკოვი. მანეჟზე მოწყობილ საკავშირო გამოფენაზე ნუნუ ცერცვაძის მიერ შექმნილ ქსოვილს „დაისს“ ვერცხლის დიდი მედალი მიაკუთვნეს, ხოლო ავტორი რადიომმდგენით დაჯილდოვდეს. მაგრამ განა მარტო მან? ელიკო სეფიანმელმაც პატარა ვერცხლის მედალი მიიღო. მეგობრის წარმატება მთ უფრო სასიამოვნო იყო, რომ ისინი ერთი საწარმოს დესინატორები იყვნენ.

გასულ წლებში ლაბაცგსა და ბრიუსელშიც გაიგზავნა გამოფენებზე ნუნუსა და მისი მეგობრების მიერ შექმნილი ახალი ქსოვილების ნიმუშები. ეს უკვე ბევრს ნიშნავს.

გამოცდილმა დესინატორმა წელს მრავალი ახალი ქსოვილი შექმნა, რომლებიც ძირითადად ბუნებრივი აბრეშუმის ბოჭკოსაგან იქნა დამზადებული. ქსოვილები გამოირჩევა დიდი გემოვნებით, ფერთა სიუხვით შეფერილობით. ზაფხულობით მზის მცხუნვარე სხივების ზემოქმედება ქსოვილზე კვალს არ დაანევს, არ გახუნდება. ქსოვილი მსუბუქია და მტკიცე ბიგიენური. ახლად შექმნილი პროდუქცია: საკაბეები, სახალათეები, საყოფთეები და სხვა ჯერ არ „მოუხასლავთ“, თუმცა მათი დანიშნულება უკვე განსაზღვრულია. ეს ქსოვილები საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სპეციალისტთა სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების კოლეგურსზე გაიგზავნა. შედეგები ჯერ უცნობია, მაგრამ იმედია ნუნუ ცერცვაძისა და მისი მეგობრების ზეიხან მეკავშირეთა, ეთერ რაზმაძის, ელენე სეფიაშვილის ნამუშევრები თავის სიტყვას იტყვიან კონკურსზე.

რუსთაველის პროსპექტზე არსებობს სპეციალური მაღაზია, სადაც მხოლოდ აბრეშუმის ფაბრიკის პროდუქცია იყიდება. აქ ხშირად მოდიან ხოლმე დესინატორები და მათ შორის ნუნუ ცერცვაძეც. ისინი ესაუბრებიან მომხმარებლებს, ითვალისწინებენ მათს შენიშვნებს მომავლისათვის.

აგერ გამყიდველს ახალგაზრდა გოგონების ჯგუფი შემოხვეოდა. ისინი სიამოვნებით თვალიერებენ დიდრონ ცისფერ კოლეტებად თავთის მსგავს ქსოვილს. თვალერავენ, გაზაფხულიც უკვე კარზეა.

— კარგია!

— ნახეთ, ფერთა რა ორგინალური შეხამებაა!

— ზღვაზე გამოგადგებათ. ძალიან მოგიხდებათ ამისი საბანაო კოსტიუმი. ურჩევს გამყიდველი ცისფერთვალა გოგონას. ქალიშვილების მიერ შეძენილ ქსოვილებში ბევრია ნუნუ ცერცვაძისა და მისი მეგობრების ნახელავი.

...აბრეშუმის ფაბრიკის საამქროებში ეს ხმაურობს დაზვები. იქსოვება ათიათასობით მეტრი ქსოვილი, რომელიც უთვალავ საპატარძლოებს, კოპწია გოგონებს და დიასახლისებს დაამშვენებს. ლამაზ ბაბთებად გაეკვანძებათ თმაში პატარებს.

დესინატორთა წყნარ ოთახში კი ქალაგრძელდება შემოქმედებითი ძიება.

ნანა ჯაფარიძე.

საქართველოს სსრ მაშენებლებს — მეტი მასალები

საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს გასული წლის სამეურნეო საქმიანობის შედეგებსა და 1966 წლის ამოცანებს მიეძღვნა რესპუბლიკის ამ დარგის ინდუსტრიის მუშაკთა სამეურნეო-პროფკავშირული აქტივის კრება.

ანგარიშგებას აკეთებდა საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრმა ი. ს. ჩიტაეშვილი.

საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო შარშან შეიქმნა. იგი ერთიანებს საშენ მასალათა წარმოებისა და მომარაგების ოფლებს 40 საწარმოს. 1965 წელს მთლიანი პროდუქციის მოცულობამ 40 მილიონი მანეთი შეადგინა. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 25.174 ტონა ცემენტი, 473 ტონა ცეცხლგამძლე ნაწარმი, 9.656 ტონა კირქვა. მაგრამ მშენებლობას ჯერ კიდევ არ ყოფნის მასალები. მაგალითად, ძაკედლე ბლოკების დეფიციტი 150 მილიონ ცალ ბრიკინი აგურზე მეტს შეადგენს. საკმარისი რაოდენობით არ არის შიფერი, დაფქული კირი, თაბაშირი, კირქვა, მოსაპირკეთებელი ფილები, საიზოლაციო მასალები.

ბუნებრივ

საერთაშორისო ცხოვრება

გერმანიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განცხადება

ბერლინი, 17 თებერვალი. (საკდესი). „გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ღია წერილში აღძრულია გერმანიის თანამედროვე მუშათა მოძრაობის ძირითადი საკითხები და ნაჩვენებია გერმანიის ორი ყველაზე დიდი პარტიის — გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიისა და გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის თანხმობისა და თანამშრომლობის მიღწევის გზები", — აღნიშნავს გერმანიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი განცხადებაში გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ღია წერილის გამო, რომელიც გაუგზავნა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის დორტმუნდის ყრილობის დელეგატებს.

გერმანიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ურჩევს კომპარტიის წევრებსა და ფუნქციონერებს შეისწავლონ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ღია წერილი და გამოიყენონ იგი როგორც საფუძველი სხვადასხვა საწარმოსა და მოსახლეობაში სოციალ-დემოკრატებთან საქმიანი ამხანაგური საუბრებისათვის.

გერმანიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მიესალმება წინადადებას, რომ რაც შეიძლება მალე შეიქმნას სრულიად გერმანიის ორგანო ყველა პარტიისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენლებისაგან.

დასასრულ განცხადებაში ხაზგასმულია, რომ გერმანიის კომუნისტური პარტიის აკრძალვის გაუქმება მნიშვნელოვან წილად გააადვილებს ღია განხილვის მოწყობას და ხელს შეუწყობს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შუშათა კლასისა და მოსახლეობის წინაშე დასახული საკითხების გადაჭრას.

საჭიროა მოქმედების საერთო პროგრამა

საფრანგეთის კომპარტიის პოლიტბიუროს განცხადება

პარიზი, 18 თებერვალი. (საკდესი). საფრანგეთის კომუნისტური პარტიის პოლიტბიურომ გამოაქვეყნა განცხადება, რომ საჭიროა ქვეყნის მემარცხენე ძალების შეკავშირება.

საფრანგეთის კომპარტიის პოლიტბიურო აღნიშნავს, რომ პარტიის გენერალურმა მდივანმა ვ. როშემ საფრანგეთის მემარცხენე პარტიებს, ორგანიზაციებსა და დემოკრატიულ დაჯგუფებებს მიმართა წინადადებით განიხილონ მოქმედების საერთო პროგრამა. პოლიტბიურო, ნათქვამია განცხადებაში, კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ ბევრი ორგანიზაცია და დაჯგუფება პრინციპულად დაეთანხმა ამ წინადადებას. მაგრამ სოციალისტურ პარტიას, რადიკალთა პარტიასა და დემოკრატიული და სოციალისტური მემარცხენე ძალების ფედერაციას თუმცა არ უარუყვიათ ეს წინადადება, მაგრამ ამჟამინდელს უფრო მეტი ხნით გადადონ დისკუსია ამ საკითხზე.

საფრანგეთის კომპარტიის პოლიტბიურო დანანებას გამოთქვამს ასეთი პოზიციის გამო, რადგან მიაჩნია, რომ საერთო პროგრამის განხორციელება დამოკიდებულია უმთავრესად კომპარტიისა და იმ პარტიების შეთანხმებაზე, რომლებიც დემოკრატიული და სოციალისტური მემარცხენე ძალების ფედერაციაში შედიან.

პარლამენტის არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე მოქმედების საერთო პროგრამის შემუშავება, აღნიშნულია განცხადებაში, ხელს შეუწყობდა დემოკრატიული შეტევის გაშლას, მუშათა კლასისა და ხალხის მასების ბრძოლას, აგრეთვე ჩაფუშავდა დე გოლის რეჟიმის მანევრებს, რომელსაც ყველაზე მეტად აშინებს დემოკრატიული ძალების შეკავშირება.

ტაშკენტის დეკლარაციის სრულდება

დელი, 17 თებერვალი. (საკდესი). ინდოეთისა და პაკისტანის შეიარაღებული ძალების სარდლობის წარმომადგენელთა უკანასკნელი შეხვედრის დროს მიღწეულია შეთანხმება, რომ ჯამოსა და ქაშმირში განლაგებული ჯარებისა და გასამხედროებული რაზმების რიცხვი შემცირდეს იმ დონემდე, რომელსაც ითვალისწინებს 1949 წლის შეთანხმება საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ ქაშმირში. ეს განაცხადა დღეს ინდოეთის თავდაცვის მინისტრმა ი. ჩავანმა ინდოეთის პარლამენტის სახალხო პალატაში.

ამ შეთანხმების შესრულება, განაგრძო მინისტრმა, მიმდინარე წლის 1 აპრილისათვის დამთავრდება და დამოწმებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურეთა მიერ.

ტაშკენტის დეკლარაცია, თქვა შემდეგ ი. ჩავანმა, ითვალისწინებს, რომ ორივე მხარემ შეასრულოს ქაშმირში ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების პირობები ამის მიღწევა, ხაზი გაუსვა მან, შესაძლებელია მხოლოდ იქ მყოფი ჯარების რიცხვის შემცირებით. მინისტრმა დასასრულ აღნიშნა, რომ ორივე მხარის სარდლობის წარმომადგენელთა შეთანხმება მხოლოდ ერთ-ერთი ღონისძიებაა ტაშკენტის დეკლარაციის იმ გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად, რომლებსაც უნდა მოჰყვეს სხვა შეთანხმებანი.

მშვიდობიან შრომას უგრუნდეგიან

დელი, 17 თებერვალი. (საკდესი). ტაშკენტის დეკლარაციის ხელმოწერის შემდეგ ინდოეთსა და პაკისტანს შორის მიღწეული შეთანხმების შესაბამისად, გრძელდება იმ მოკალაქეთა გაცვლა, რომლებიც კონფლიქტის წარმოქმნისას მოწოწაალმდეგე ტერიტორიაზე აღმოჩნდნენ. მაგალითად, 485 პაკისტანელი მოკალაქე, რომლებიც ინდოეთის ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ, გუშინ სამშობლოში დაბრუნდნენ. თავის მხრივ 50 ინდოელი მოკალაქე, რომლებიც კონფლიქტის მომენტში პაკისტანის ტერიტორიაზე იყვნენ, ინდოეთში დაბრუნდნენ. ინდოელმა და პაკისტანელი მოკალაქეების სამშობლოში შეუფერხებელი დაბრუნების უზრუნველსაყოფად ჰუსეინივალის სასაზღვრო პუნქტის მახლობლად გაიხსნა გზა, რომელიც გადაკვეთს ორივე ქვეყნის საზღვარს. როგორც ინდოეთის საინფორმაციო სააგენტო პრეს ტრასტ ოფ ინდია იუწყება, საზღვარი ამ უბანზე 25 თებერვალამდე იქნება გახსნილი.

ინდოეთ-პაკისტანის საინფორმაციო სააგენტო

პანოი, 17 თებერვალი. (საკდესი). როგორც ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, გუშინ სამხრეთ ვიეტნამის ერთ-ერთ განთავისუფლებულ რაიონში „გიმმართა სამხრეთ ვიეტნამის შეიარაღებული ძალების გაერთიანების მე-5 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება.

კრებაზე გამოვიდა განთავისუფლების არმიის შეიარაღებული ძალების სარდლის მოადგილე ნგუენ თხი ბინი, რომელმაც ილაპარაკა სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლებელი არმიის ისტორიაზე. მან, კერძოდ, განაცხადა, რომ ამჟამად არმიაში სამი გვარეობის ჯარები, რომელთაც გაერთიანებული სარდლობა მყავთ. ჯარები შექმნილია განთავისუფლებელი შეიარაღებული ძალების ცალკეული რაზმების ბაზაზე.

თავის გამოსვლაში ნგუენ თხი ბინმა აღნიშნა, რომ განვლილ ხუთ წელიწადში სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების არმიამ მონაწილეობა მიიღო 145.000 ბრძოლაში, გაანადგურა მტრის 500 ათასზე მეტი ჯარისკაცი, მათ შორის 22.600 ამერიკელი აგრესორი, მოსპო 60 ბატალიონი, მათ შორის 9 ამერიკელებისა.

კრების მონაწილენი ენთუზიაზმით შეხვდნენ სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის თავმჯდომარის ნგუენ ჰიუ თხოს ცნობას, რომელმაც წაიკითხა განთავისუფლების ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის გადწყვეტილება განმათავისუფლებელი შეიარაღებული ძალების პირველი ხარისხის „ოხან-დონგის" („რკინის ცხენ-სამაგრე") ორდენით დაჯილდოების შესახებ.

საზეიმო კრებას დაესწრნენ სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის წევრები, განმათავისუფლებელი შეიარაღებული ძალების სარდლობის წარმომადგენლები, განთავისუფლების ეროვნული ფრონტის მომხრე სხვადასხვა მასობრივი ორგანიზაციის წარმომადგენლები, განთავისუფლების ეროვნული ფრონტის არმიის სარდლობისადმი დაქვემდებარებული სხვადასხვა ორგანოს, კაზრის მუშაკები და თანამშრომლები.

განთავისუფლების არმიის ხუთი წლისთავი

ქველი გეგმები

ვაშინგტონი, 18 თებერვალი. (საკდესი). გუშინ აქ დაიწყო ნატოს სამხედრო მინისტრების სპეციალური კომიტეტის „ატომური დაგეგმვის სამუშაო ჯგუფის" ორი დღის სესია. სესიაში მონაწილეობენ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, იტალიის, თურქეთის სამხედრო მინისტრები და ნატოს გენერალური მდივანი ბრიუნო. როგორც პრესის ცნობებიდან სჩანს, სამუშაო ჯგუფის თათბირი იხილავს საკითხს, რომ გაფართოვდეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და ნატოს სხვა ქვეყნების მონაწილეობა ატლანტიკის ბლოკის ატომური სტრატეგიის დაგეგმაში.

ქურთ ხალხს — მუშვიდობა!

პარიზი, 18 თებერვალი. (საკდესი). „ერაყის პოლიტიკურ პატიმართა ამნისტიისა და ადამიანის უფლებათა პატივისცემისათვის მებრძოლი საერთაშორისო კომიტეტის" ასამბლეამ მოუწოდა გამონახონ ქურთ ხალხსა და ერაყის მთავრობას შორის წარმოშობილ უთანხმოებათა მშვიდობიანი გადაჭრის გზა. აგრეთვე განაცხადა, რომ გადაწყვეტილი აქვს განაგრძოს ბრძოლა ერაყის პოლიტპატიმართა ამნისტიისათვის. ასამბლეის მუშაობა მიმდინარეობდა პარიზში 12-13 თებერვალს დემოკრატ იურისტთა საერთაშორისო ასოციაციის, ერაყის ხალხის დაცვის ფრანგთა კომიტეტისა და საფრანგეთის ადამიანის უფლებათა ლიგის მონაწილეობით.

„ერაყის ქურთისტანში, — ნათქვამია ასამბლეის რეზოლუციაში, — ამ ცოტა ხნის წინათ მოსპეს 600 სოფელი, დაწვეს მოსავალი, უდანაშაულო ადამიანები — მოხუცები, ქალები და ბავშვები ლუბეებიან ან შიმშილითა და სიცივით ტანჯვა მოელით. ქურთი მოსახლეობისათვის საჭირო მედიკამენტების გაწყლებისას ხელისუფლებამ შემოიღო ლიგის მონაწილეობა „ხუთი ათასი პოლიტიკური პატიმარი, მათ შორის ბევრი ქალი და ბავშვი, ამჟამად ზის საპყრობილეებში, სადაც მოკლებულია სრულიად ელემენტარულ ადამიანურ პირობებს. ბევრი პატიმარი მძიმედ დაავადებულია".

საფრანგეთის კოსმოსური მეცნიერების წარმატება

პარიზი, 17 თებერვალი. (საკდესი). დღეს ფრანგმა სპეციალისტებმა გაუშვეს დედამიწის ხელოვნური თანამგზავრი „დ-1-ა". თანამგზავრი წარმოადგენს შავი ზოლით გარშემორტყმულ, დიამეტრით 50 სანტიმეტრი დიამეტრის მოოქრულ სფეროს. შავ სარტყელზე განლაგებულია მზის ბატარეების ფოტოელემენტები და ალუმინ-მაგნიუმის შენადნობი ოთხი ანტენა. ასეთია თანამგზავრი, რომელიც დღეს ფრანგმა სპეციალისტებმა აღწერეს.

„დ-1-ა", რომელსაც მისმა შემქმნელებმა არაოფიციალურად „დიაპაზონი" უწოდეს, ორბიტაზე უნდა დარჩეს დაახლოებით სამ თვეს. მისი ამოცანაა გამოცადოს ფრანგული მოწყობილობისა და აპარატების ხარისხი და, როგორც კოსმოსური კვლევის ეროვნული ცენტრის გენერალურმა დირექტორმა რობერ ობინიერმა თქვა, „დაამტკიცოს, რომ საფრანგეთს უნარი შესწევს აწარმოოს კოსმოსური კვლევა".

როგორც ცნობილია, საფრანგეთის პირველი ორი ხელოვნური თანამგზავრი გაუშვეს ამერიკის ტექნიკის საშუალებით. დღევანდელი წარმატება გვიჩვენებს, რომ ფრანგმა მეცნიერებმა და ინჟინრებმა ღირსეულად ჩაანაცვლეს ეს გამოცდა.

გარდა ამისა, „დიაპაზონმა" უნდა შეასრულოს აგრეთვე რამდენიმე მეცნიერული ხასიათის ამოცანა. ამ მიზნით თანამგზავრი აღჭურვილია შესაბამისი აპარატურით. თანამგზავრთან ერთად ფრანგმა სპეციალისტებმა ორბიტაზე გაიყვანეს 20 კილოგრამი წონის თაგისებური „თანხლების სექცია", რომლის ამოცანაა გაშვების დროს გადმოსცეს ცნობები რაკეტის მესაფე საფეხურის შესახებ, ხოლო ორბიტაზე გასვლისა და თანამგზავრის ფრენის დროს გააადვილოს მისი დაკვირვება.

„დ-1-ა"-ს გაშვება განხორციელდა საფრანგეთის სამსაფეხურიანი რაკეტის „დიამანის" საშუალებით. დედამიწიდან აფრენისას „დიამანი" 18,4 ტონას იწონიდა, მისი სიმაღლეა 19 მეტრი, და მას შეუძლია დაბალ ორბიტაზე გაიყვანოს სასარგებლო მაქსიმალური წონა 80 კილოგრამი.

მდგომარეობა დომინგოს რესპუბლიკაში

ნიუ-იორკი, 17 თებერვალი. (საკდესი). ეროვნული საგაფიცვო კომიტეტი დღეს დათანხმდა შეწყვიტოს საყოველთაო გაფიცვა, რომელმაც მთელი კვირის განმავლობაში მოშალა დომინგოს რესპუბლიკის ცხოვრება. ეს გადაწყვეტილება მიღებულია მას შემდეგ, რაც დროებითი პრეზიდენტი გარსია გოდოი გამოვიდა რადიოთი და ხალხს დაპირდა ყველაფერს ვიღონებთ იმისათვის, რომ სამხედრო-საჰაერო ძალების ყოფილმა სარდალმა ხუან დე. ლოს სანტოს სესპედესმა და არმიის ყოფილმა სარდალმა ხასინტო მარტინეზ არანინამ დაუყოვნებლივ დატოვონ დომინგოს რესპუბლიკა. შეიარაღებული ძალების ყოფილი მინისტრი რიკარო კამინერო საზღვარგარეთ გაემგზავრა რამდენიმე დღის წინათ.

რეაქციული მხედრიონის სამი მოთავის გაძევება — ეს იყო დომინგოელ მშრომელთა მოთხოვნა, რომელიც წამოაყენეს საყოველთაო გაფიცვის გამოცხადების დროს.

მაგრამ რამდენიმე სამხედრო პირის გაძევება არა წყვეტს დომინგოს რესპუბლიკის ძირითად პრობლემებს. დომინგოს რესპუბლიკაში კვლავინდებურად ამერიკელი ინტერვენტები ბარაბობენ. ბრაზილიისა და სხვა ჯარებთან ერთად, რომლებიც „ეგრეთწოდებულ „ამერიკის სახელმწიფოთა შეიარაღებულ ძალებში შედიან", ისინი პატრულობენ ქალაქის ქუჩებში, „იცავენ" სანტო-დომინგოს ძირითად შენობებს, დეენიან დომინგოელ პატრიოტებს.

ტერორისა და დაშინების მეთოდებს მიმართავს ადგილობრივი რეაქციაც. გუშინ პოლიციამ ცეცხლი დაუშინა სანავსადგურო ქალაქ ბინის მიტინგის მონაწილეებს, რომელიც ამერიკის საწინააღმდეგოდ გაიმართა. ამ ინციდენტის დროს დაიღუპა ერთი ქალიშვილი.

მხედრიონის ხელისუფლების შეწყდეს ვის შესახებ პრეზიდენტის გადაწყვეტილებით განაწყენებულმა 80 დომინგოელმა ბიზნესმენმა, როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის სააგენტო იუწყება, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას შესჩივლა, გარსია გოდოის ქვეყანა „კომუნიზმისაკენ" მიპყავსო.

„ჯემინაი-8"-ის მომავალი გაშვება

ნიუ-იორკი, 18 თებერვალი. (საკდესი). აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნულმა სამმართველომ 15 მარტს დანიშნა კოსმოსური ხომალდის „ჯემინაი-8"-ის გაშვება. ხომალდში იქნება ორი კოსმონავტი ნეილ არმსტრონგი და დეივიდ სკოტი. სამი დღის ფრენის დასახული პროგრამის თანახმად, კოსმონავტები შეეცდებიან 185 მილის სიმაღლეზე ხომალდ „ჯემინაი-8"-ის და დედამიწიდან ცალკე გაშვებული რაკეტა „აგენის" შეპირაპირებას. შეპირაპირება ოთხჯერ მოხდება. ამ ფრენის დროს დასახულია აგრეთვე ხომალდიდან სკოტის ხანგრძლივად გასვლა კოსმოსურ სივრცეში.

ესპანელი მუშების პროტესტი

ბონი, 17 თებერვალი. (საკდესი). მაინის ფრანკფურტის საწარმოთა 600-ზე მეტმა ესპანელმა მუშამ, საპროტესტო დემონსტრაცია მოაწყო იმის წინააღმდეგ, რომ ესპანეთის ტერიტორიაზე დაფრინავენ ატომური იარაღით აღჭურვილი ამერიკის ბომბდამშენები. მუშებმა მოითხოვეს მოისპოს ამერიკული ბაზები ესპანეთის ტერიტორიაზე და გაიყვანონ ამერიკის შეერთებული შტატების მთელი ჯარები.

ესპანელმა მუშებმა მაინის ფრანკფურტის ქუჩებში ნაიარეს ტრანსპარანტებით: „მოისპოს ამერიკის სამხედრო ბაზები", „ამერიკელებო, გაეცალეთ ესპანეთს!" და სხვ.

ევროპას შავი ჩრდილი ჩამოსწოლია.
კარიკატურა გაზეთ „ნოიეს დოიჩლანდიდან".

ბონდონელები პატივს სცემენ ქარლ მარქსის ხსოვნას

ლონდონი, 17 თებერვალი. (საკდესი). დღემდე შემორჩენილ ლონდონის არცერთ სახლზე, სადაც კარლ მარქსი ცხოვრობდა, აქამდე არ ყოფილა მემორიალური დაფები. დღეს დიდი ლონდონის საბჭოს ისტორიულ ნაგებობათა კვეკომიტეტმა მოიწონა დინ-სტრიტის № 28 სახლის (სოხოს რაიონი) მფლობელის შუამდგომლობა, რომ ამ სახლს გაუკეთდეს მემორიალური დაფა მსოფლიო პროლეტარიატის დიდი მასწავლებლის სახსოვნად.

ამ სახლში კარლ მარქსი ოჯახით ცხოვრობდა 1850 წლის დეკემბრიდან 1856 წლის სექტემბრამდე. აქ დაწერა მან „კაპიტალის" მნიშვნელოვანი ნაწილი, აგრეთვე მრავალი სტატია, რომლებიც შეეკრებინა კლასიკურ ნაწარმოებებში „ლუი ბონაპარტეს თვრამეტი ბრიუმერი", „ბატონი ფოგტი", „კლასობრივი ბრძოლა საფრანგეთში".

მრგვალი ცისფერი მემორიალური დაფა დინ-სტრიტის № 28 სახლის კედელს უახლოეს ხანებში დაამშვენებს.

პროტესტს აცხადებენ ინდონეზიაში რეპრესიათა წინააღმდეგ

პარიზი, 17 თებერვალი. (საკდესი). ბრძოლის საყოველთაო კონფედერაციის კონფედერალურმა ბიურომ დეპეშა გაუგზავნა პრეზიდენტ სუკარნოსა და ჯაკარტის სპეციალური სამხედრო სასამართლოს თავმჯდომარეს. დეპეშაში შრომის საყოველთაო კონფედერაცია საფრანგეთის მუშათა კლასის სახელით „ეხმაურებელად აცხადებს პროტესტს სასჯელთა რეპრესიების წინააღმდეგ, რომელთა მსხვერპლნი გახდნენ ინდონეზიელი ერნგენული დამოუკიდებლობისათვის, სოციალური პროგრესისა და დემოკრატიისათვის მებრძოლი პროფკავშირები, დემოკრატიული მოღვაწეები და „შრომელები". შრომის საყოველთაო კონფედერაცია მოითხოვს რეპრესიების შეწყვეტას, „დაპატიმრებული პროფკავშირული მოღვაწეებისა და პატრიოტების დაუყოვნებლივ განთავისუფლებას, თავისუფლებათა, პროფკავშირულ და დემოკრატიულ უფლებათა აღდგენას".



ᲘᲝᲰᲐᲜᲘᲡ არაბთა რესპუბლიკას სოციალისტური ქვეყნები ეხმარებიან. საბჭოთა კავშირი დაეხმარა ქალაქ ჰოდეიდის ახლოს მეწამული ზღვის ნაპირზე დიდი ნავსადგურის მშენებლობაში. აქ 300-ზე მეტი საბჭოთა სპეციალისტი მუშაობდა.

ნავსადგურის ორ ღრმაწყლიან გემმისადგომს, რომელთა საერთო სიგრძე 300 მეტრს აღემატება, შეუძლია მიიღოს 10 ათასამდე ტონა წყალწყვის გემები. ახლა ნავსადგურის ტვირთბრუნვა 800 ათას ტონას შეადგენს. აქ წელიწადში 200-მდე გემი მოდის.

• • •

ᲡᲣᲠᲘᲐᲗᲘᲡ: ნავსადგურში. შორს მოჩანს საბჭოთა სატვირთო გემი „წოვი ბუგი", რომელმაც იემენში ახალი სამენი მასალები ჩაიტანა.

ფოტო ვ. მუსაელიანისა. (საკდესის ფოტოკორესპონდენტი).

მისტერ ტარსისი საზღვარგარეთ

ᲒᲐᲨ ᲐᲡᲚ, დასავლეთმა მიიღო თავისი ტარსისი, როგორც იტყვიან, მთელი აკლადიდებინად. ზარ-ზეიმს თითქოს ბოლო არ უნდა უჩანდეს. მაგრამ „ძღვეგის გვრგვნვა" რალაც არ გახსმის.

აღვნიშნავთ იმ მკითხველებისათვის, რომლებმაც არ იციან ვინ არის ტარსისი, რომ ეს არის ექსპანსიური პარანოიით (ფორმა ფსიქიკური დაავადებისა სისტემატიზებული ბოდვის განვითარებით) დაავადებული ადამიანი. თითქმის ოც წელიწადს უწევდა ტარსისს მეთვალყურეობას მოსკოვის ფსიქონევროლოგიური დისპანსერი. მაგრამ მთელი საქმე ის არის, რომ ამ ავადმყოფს ყოველივე დანარჩენის დამატებით გასასკუთრებული სახის ბოდვა სჭირს: აშკარად გამოხატული ანტისაბჭოთა ხასიათის ბოდვა. ტარსისი თხზავდა ანტისაბჭოთა პასკვილებს და საზღვარგარეთ გზავნიდა. პარანოიკის მთლად უწრეტრმა და ლიტერატურული თვალსაზრისით უნიჭო, მაგრამ საბჭოთა ხალხის მიმართ ბოდვითი ცილისწამებით გაჟღენთილმა ქმნილებებმა დაინტერესა სენსაციის მოყვარული დასავლეთელი გამომცემლები. ბურჟუაზიულმა პროპაგანდამ ზარის რეკა ატეხა. ტარსისს გულმოდგინედ უქნიდნენ „დეენილის, საბჭოთა კავშირში კომუნიზმის წინააღმდეგ მებრძოლის „შარავანდედს.

ნამდვილად კი ფიქრადაც არავის მოსვლია სულით ავადმყოფი ტარსისის დევნა. ხოლო როცა ეს პარანოიკი ინგლისში მიიწვიეს თამაშად ეს იმისათვის, რომ ლიტერატურაში ლექციები ეკითხა, მას წასვლის ნება დართეს. რატომაც არა! თუკი დასავლეთში აინტერესებთ ინდივიდუმები, რომელსაც თავი ნაპოლონად, ჩერჩილად ან ლიტერატურულ გენიოსებად მიაჩნიათ, თუკი იქ ესეიროზებთ ავადმყოფური წარმოსახვის მქონე ასეთი ფიგურები, ვალერი ტარსისი სავსებით გამოდგება ამ როლისათვის.

ზუსტად იმ მომენტიდან, როცა ტარსისმა ფეხი დაადგა ლონდონის აეროდრომის ბეტონს, მისი აქაური გამომცემლები და პატივისმცემლები ეშფოთების გრძნობამ მოიცვა. ვის ესაუბრებენ თავის სახლში შეუშვას ბეურაცხადი ადამიანი, რომელსაც ამასთანავე შმაგობა ახასიათებს? ბატონ ბურჟუებს, რა თქმა უნდა, სავსებით ხელს აძლევს „პუნქტი", რომლის გამო იგი შეიშალა, ანტიკომუნიზმი და ანტისაბჭოურობა; რა თქმა უნდა, ისინი უხვად იყენებენ მის ბოდვითს ძალუნისაცვლებს, მაგრამ მამ სრულებითაც არ აძლევს ხელს, რომ ტარსისი პირისპირ შეხვდეს დასავლეთის უბრალო ადამიანს. ასეთი შეხვედრა სამარცხვინოდ გამოამჟღავნებდა იმასს, თუ როგორ იყენებენ ეს ბატონები თავიანთ ბინძურ ანტისაბჭოთა თამაშში ჭკუაზე შემლილ ადამიანს.

ბუმმარიტად სიმბოლური იყო, პირველად როგორ მოეკლინა ტარსისი ინგლისს. ეს ტლანქად იფარებდა სახეზე ხელებს, რომ ფოტორეპორტიორების მბრწყინავ იუპიტერებს მისთვის თვალებში არ ენათებინათ. შემდეგ იგი ყაიყვანეს, როგორც იტყვიან, გაურკვეველი მიმართულებით. პრეს-კონფერენცია, რომელიც მეორე დღისათვის იყო გამოცხადებული, არ შემდგარა. ნახევრად ოფიციალურ განმარტებაში ნათქვამი იყო: ტარსისი მეტისმეტად აღელვებულია, საჭიროა „სული მოითქვას", დამშვიდდესო.

მაგრამ როცა პრეს-კონფერენცია გაიმართა, ნათელი გახდა, რომ ტარსისმა ვერ „მოთქვა სული". მიუხედავად უზომო ცნობისმოყვარეობისა, მიუხედავად „შემწვარის" სუნისა, ლონდონელ ჟურნალისტებს ეუხერხულებოდათ ერთმანეთისათვის თვალებში ეყურებათ. ტარსისის მანკვა-გრეხას ცნობიერების დაბრუნების მომენტში და ბორგვას ცნობიერების დაბნელების მომენტში კომენტარი არ ესაჭიროებოდა.

როცა საღამოს პრეს-კონფერენციის შემდეგ ინგლისის ტელევიზია გადასცემდა მოკლე ინტერვიუს ტარსისთან, დაბნეულმა თარჯიმანმა ვერ გაბედა ზუსტად გადაეცა სალანძღვა, თითქმის უშმაგური სიტყვები „თავისუფლებისათვის მებრძოლისა", რომლებსაც იგი ხელებს ქნევითა და დორბლის ყრით წარმოთქვამდა. დამის გადაცემებში კი ტარსისის რუსული მეტყველება საერთოდ ამოიღეს ეთერიდან და მხოლოდ ინგლისური თარგმანი დატოვეს. მიუხედავად ამისა, ის შთაბეჭდილება, რაც ტარსისმა უნინაზრახავი ინგლისელებზე მოახდინა, გულის დამამძიმებელი უფრო იყო.

პრეს-კონფერენციის შემდეგ ტარსისი კვლავ გაქრა. გაქრა იმდენად საფუძვლიანად, რომ ყოველისმცოდნე ბულვარულ ყოველდღიურ გაზეთ „პიპლის" რეპორტიორებმაც კი ვერ მიაგნეს მის კვალს.

ანგარიშები პრეს-კონფერენციის შესახებ საკმაოდ მოკლე იყო. იქ, რა თქმა უნდა, ინგლისის ანტისაბჭოთა ფანატიკოსებმა ბევრი ლაყბობა ატეხეს. ეს ბატონები მოუხდათ მოეგონებინათ ტარსისისათვის, რომ მისი პირველი ანტისაბჭოთა წიგნაკიც „ივან ვალერის" ფსევდონიმით გამოიცა და რომ საერთოდ საჭირო არ არის არეულობაა შეიტანონ „თავიანთ" ისედაც მეჩხერ რიგებში. მას შემდეგ რაც ტარსისი ამისათვის დატაქლეს, მან სასწრაფოდ მოიხადა ბოდიში სინიავსკისა და დანიელის წინაშე და განაცხადა, რომ „კომუნისტებმა ინტერნეგენის" მსხვერპლი გახდა, ვინაიდან ვიღაცამ უამბო, რომ სინიავსკი მას „ძაღლის შვილს" უწოდებდა.

— ჩემი პროფოცირება ადვილია, — თავს იმართლებდა ტარსისი, — ვინაიდან მე ლიტერატურაში არისტოკრატი ვარ. გარდა ამისა, იგი იმოწმებდა თავის „ქოლერიკულ ხასიათს". ტარსისმა პირობა დადო, რომ მეტს აღარ გალანძღავდა სინიავსკისა და დანიელს, უსურვა მათ წარმატებანი და განაცხადა, რომ ისინი ყველანი „ერთ ბანაკს" ეკუთვნიან. თითქოს ვისმე ეჭვი ეპარებოდა ამაში!

ერთადერთი ინგლისური გაზეთი, რომელმაც მოახერხა გაეჭვია „რკინის ფარდა", რომლითაც დაფარეს ტარსისი მისმა ლონდონელმა მეურვეებმა, „სანდო ტაბმა" აღმოჩნდა. მან გამოაკვეყნა ინტერვიუ, რომელიც ტარსისმა მისცა გაზეთის ლიტერატურის გაყოფილების რედაქტორს ლამბერტს.

ეს ინტერვიუ ლამბერტის კომენტარებით ფრიად საინტერესო დოკუმენტს წარმოადგენს ფსიქიატრი-კლინიცისტებისათვის, დაკვირვებულ მკითხველს კი გადაუშლის ვალერი ტარსისის სახეს მთელი მისი უსაზღვრო სიმახინჯით.

ტარსისის ინტერვიუ თავიდან ბოლომდე წინაადმდეგობანი და აბდაუბდაა. აი ზოგიერთი მაგალითი. იგი თავს ესმის ინგლისელ ჟურნალისტებს, რომლებმაც თითქოს მიაწერეს მას სიტყვები: „ეს დიდი მწერალი ვარ", თუმცა ეს სიტყვები მას მართლაც წარმოუთქვამს. შემდეგ კი მოპყავს თავისი „თავმდაბლობის" გასაცვიფრებელი მაგალითები, მოპყავს ციტატები რაღაც საეჭვო ნაჯღაბნიდან, სადაც მისი სახელი რუბლეგისა და ბაიანის, რადიშჩევისა და დოსტოევსკის სახელების რიგში დგას! ციტატები მოპყავს თავისი საკუთარი „თხზულებებიდანაც", რომლებშიც ელინარდო და ვინჩისა და მიქელანჯელოს ადარებს თავს.

პრეს-კონფერენციაზეც და ტელევიზიაშიც ტარსისი წამდაუწუმ ადამაჭრობდა ხელებს და შეპოლოდებდა ღმერთს. რელიგიურ პრობლემებს „სანდო ტაბმისისათვის" მიეცემელ ინტერვიუშიც შეეხო. ტარსისის სიტყვებით, სანამ იგი ახალგაზრდა და ჯანსაღი იყო, ქრისტიანობა არ აინტერესებდა. მაშინ იგი უფრო „ლოთობითა და ქალიშვილებით" იყო გატაცებული. მორწმუნე იგი ომში გახდა. ამ უკანასკნელ განცხადებას შეიძლება დავუჯერო. ხშირად ხდება, რომ ლაჩრები ომში, დაუძლეველი შიშის გამო, უეცრად, მოულოდნელად ღმერთს ჩაეჭიდებიან, როგორც უკანასკნელ მხსნელ ხავსს.

კიდევ ერთი დამახასიათებელი შტრიხი. ვალერი ტარსისს, რომელსაც თავისი საკუთარი „თავმდაბალი აღიარებით", რუსის სული უფრო ღრმად შეუღწევია, ვიდრე სხვა ვინმეს დოსტოევსკის შემდეგ. ინგლისელი ჟურნალისტის წინაშე საკვლევი ჩვეულებრივი სტილიგის ყაიდაზე ეკერა თავი. მას ფეხი ფეხზე გადაედო და ლამბერტთან თავის წითელთხრ-ცისფერ წინდებს იკვეხნიდა.

— ეს წინდები რუსული წარმოების როდია, სად გაგონილა. იაპონურია. მოსკოვში ვიყიდე ტურისტულ მაღაზიაში დასავლეთის ვალუტით, — უხსნიდა ტარსისი.

ინტერვიუს დასასრულისათვის, როგორც ლამბერტი ამბობს, ტარსისს კვლავ დაემართა ეპილეფსიის შეტევა. მან იწყო სწრაფი ქუსტიკულაცია, ხელების ქნევა. სახე წამოუწარხლდა, თვალები გადმოეკარკლა. ქოლერიკი ვარო, თქვა.

ამ სიტყვებით მთავრდება ინტერვიუ. მისტერ ლამბერტი თანაგრძნობით წერდა, და მით უფრო საინტერესოა მისი სიტყვები. ინტერვიუს სტრიქონებში გამოსჭვივის იმ კაცის სახე. რომელსაც არა მარტო ფეხებზე, არამედ მთელ არსებაზეც ზოლიანი წინდები აცვია, რომელთა ზემოთ მთლად თავის ადგილზე იქნებოდა ფსიქიატრიული საავადმყოფოს ბინადრის ზოლიანი ხალათი.

დიახ, მძიმე ტვირთი უკისრიათ იმათ, ვინც ტარსისს „სამუშაოს ანლევს". როგორც იტყვიან, აუტკივარი თავი აუტკივებიათ... ინგლისში ტარსისის გამგზავრების ოფიციალური ხაბაში გახდა ლუტერის უნივერსიტეტის ფრანგული განყოფილების მიწვევა — წაიკითხოს ლექციები XIX საუკუნის ფრანგულ რომანზე (რა სეირი იქნება!). მაგრამ აი 12 თებერვალს გაზეთი „ტაიმსი" აქვეყნებს ქომინგსის, ამ უნივერსიტეტის ქუანინტაფრულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის, წერილს, რომელშიც შეშფოთებული პროფესორი ჩარლის გამეიჯნოს ტარსისის გარშემო ატეხილ პროპაგანდისტულ აურზაურს. ქომინგსი წერს, რომ ტარსისს მიწვევა მანამდე გაეგზავნა, სანამ მისი ანტისაბჭოთა „თხზულება „ალაკი № 7" ინგლისურ ენაზე ითარგმნა, და ბაზგასმით აღნიშნავს თავის შეშფოთებას — უნივერსიტეტის სახელი „პოლიტიკური მიზნებისათვის" არ გამოიყენონო.

დასავლეთში რომ მიემგზავრებოდა, ტარსისი მოეღოდა, რომ იქ მილიონერის მდგომარეობაში ა



ᲖᲐᲮᲐᲨᲘᲚᲘᲡ თბილი ამინდებია აფხაზეთში. მეციტრუსეებმა დაამთავრეს ორგანული სასუქების შეტანა და შეუდგნენ ხეხილის ბაღების შეწამვლას.

* * *

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲗ: ხეხილის შეწამვლა ვერტოფრენის რაიონის ილიჩის სახელობის საბჭოთა მეურნეობაში.

ფოტო ი. ᲯᲝᲜᲝᲜᲔᲚᲘᲫᲔᲘᲡ.
(საქდესის ფოტოქრონიკა).

„ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲓᲠᲝᲨᲘᲡ“ 35 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘ

ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲔ. (საკ. კორ.). ამ დღეებში აქ გაიმართა რაიონულ გაზეთ „ლენინის დროშის“ მკითხველთა კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა გაზეთის დაარსების 35 წლისთავს, კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კპ მახარაძის რაიკომის მდივანმა ნ. მდინარაძემ, გაზეთის ამოცანებზე მოხსენებით გამოვიდა რედაქტორი ა. გურგენიძე.

მკითხველთა კონფერენციაზე სიტყვებით გამოსულმა ამხანაგებმა წამოაყენეს მთელი რიგი წინადადებანი გაზეთის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

Დ. ᲙᲐᲚᲐᲜᲓᲐᲫᲔ — ᲤᲘᲚᲝᲡᲝᲤᲘᲣᲠ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სსრ მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურის უფროსმა მასწავლებელმა დოცენტმა **დიმიტრი ფილიპეს-ძე კალანდაძემ** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე:

„ობიექტურისა და სუბიექტურის ერთიანობის საკითხისათვის შემეცნებასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში“.

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან არსებულმა უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დაამტკიცა დ. კალანდაძისათვის ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მიკუთვნება.

• ᲩᲕᲔᲜᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ •

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲐ ᲒᲖᲐᲓᲓᲐ ᲮᲘᲓᲐᲓ

△ ᲕᲐᲟᲐ-ᲤᲨᲐᲕᲔᲚᲐ ᲓᲐ Მ. ᲯᲐᲒᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲡᲞᲐᲠᲡᲣᲚᲐᲓ △ ᲧᲐᲜ ᲓᲝᲠᲕᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ“. △ ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲐ-ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲐᲚᲞᲘᲜᲘᲡᲢᲗᲐ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲙᲚᲣᲑᲘ. △ „ᲕᲔᲤᲮᲘᲡᲢᲧᲐᲝᲡᲜᲘᲡ“ ᲞᲝᲔᲢᲘᲠᲘ ᲗᲐᲠᲒᲛᲐᲜᲘ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲣᲠᲐᲓ.

საქართველოში ჩამოსულ უცხოთის დელეგაციებს უკვე გაეცნონ ჩვენი რესპუბლიკის მიღწევებს. გასულ წელს ჩვენს რესპუბლიკას ეწვია 75 დელეგაცია, მსოფლიოს 52 ქვეყნიდან. ამას გარდა საზოგადოება მუშაობს ჩამოსულ უცხოელ სტუმრებთან, ტურისტებთან, აგრეთვე მოსკოვის ღუმუმბას სახელობის უნივერსიტეტის ახალგაზრდობასთან.

საზოგადოება თავის ყოველდღიურ საქმიანობაში და განსაკუთრებით უცხოელებთან მუშაობაში ძირითადად ეყრდნობა საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობის საზოგადოებების რესპუბლიკურ განყოფილებებსა და დარგობრივ სექციებს, რომლებშიც გაერთიანებულია რესპუბლიკის მოწინავე საწარმოები, კოლმეურნეობები, ინსტიტუტები, შემოქმედებითი ორგანიზაციები, მეცნიერებათა აკადემია, რადიო-ტელევიზია, აგრეთვე ცალკეული პირები. ესენი შეადგენენ საზოგადოების კოლექტიურ აქტივსა და აქტივისტებს.

სულ ამჟამად გვაქვს 12 რესპუბლიკური განყოფილება. მათგან გასული წლის ბოლოს შეიქმნა საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის საზოგადოების საქართველოს განყოფილება და საბჭოთა კავშირ-უნგრეთის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილება. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ორივე განყოფილებამ უკვე მნიშვნელოვანი მუშაობა გასწია.

ამ ბოლო ხანს გაფართოვდა კულტურული ურთიერობა ჩვენს მეზობელ მოსაზღვრე ქვეყნებთან — ირანთან და თურქეთთან. გადაწყვეტილი გვაქვს წელს შეკქმნათ საბჭოთა კავშირ-ირანის საზოგადოების საქართველოს განყოფილება.

დიდ მუშაობას ეწევიან საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერობის დარგში საზოგადოების დარგობრივი სექციები. სულ გვაქვს 12 ასეთი სექცია.

— ᲮᲚᲘ ᲛᲔᲠ ᲓᲐᲒᲕᲘᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲗ ᲡᲔᲥᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲓᲐᲜ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜ ᲐᲛᲑᲘᲗᲘ?

— დიდი სიამოვნებით. მაგალითად, აღმოსავლეთმცოდნეობის სექციამ გასულ წელს ბევრი საინტერესო ღონისძიება განახორციელა. განსაკუთრებით დიდი მუშაობა გასწია სექციამ თეირანისა და იზმირის საერთაშორისო ბაზრობებზე საქართველოს პავილიონებისათვის საჭირო მასალების შეგროვებისა და თვით გამოფენებზე ლიტერატურის გავრცელების საქმეში.

აღსანიშნავია, რომ საზოგადოების ინიციატივით გაანხორციელდა ვაჟა-ფშაველასა და მ. იშტვანოვიჩის ნაწარმოებთა პირველი სპარსული თარგმანები.

საინტერესო მუშაობას ეწევა ჩამოსულ სტუმრებთან სახვითი ხელოვნების სექცია. გასულ წელს ზაფხულში ჩვენთან იყო ფრანგი მხატვარი ჟან დორვილი. მას დიდი დახმარება გაუწიეს სექციის წევრებმა. ფრანგმა მხატვარმაც მდიდარი მასალები შეაგროვა ჩვენს რესპუბლიკაზე და სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მოაწყო სპეციალური გამოფენა „საქართველო“.

ასევე კარგად მუშაობენ არქიტექტურის სექცია, მედიცინის სექცია, შედარებით სუსტად მუშაობს თეატრისა და კინოს სექცია.

— ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲗ ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲨᲘ ᲛᲝᲛᲣᲨᲐᲕᲔ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲚᲝᲒᲔᲑᲘᲡ?

— საზოგადოებას მჭიდრო კავშირი აქვს დამყარებული უცხოთის ქვეყნებში მომუშავე ქართველოლოგებთან. ესენი არიან დ. ლენგი, ჩვენი მეგობრები გვატყობინებენ, თუ რას აკეთებენ ისინი თავიანთ ქვეყანაში ქართული კულტურის პროპაგანდისათვის. ამას წინათ „ვეფხისტყაოსნის“ იაპონურ ენაზე მთარგმნელმა იპეი ფუკუჩომ გვაცნობა, რომ მან იაპონიაში დააარსა იაპონია-საქართველოს ალპინისტთა მეგობრობის კლუბი, აგრეთვე გამოგვიგზავნა ჟურნალ-გაზეთები, სადაც დაბეჭდილია მისი წერილები, ფოტოები საქართველოს შესახებ.

— ᲙᲐᲢᲘᲝᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲩᲘᲚ, ᲠᲝᲛᲠᲝᲒᲘ ᲨᲝᲗᲐ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲘᲣᲑᲘᲚᲝᲕᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲬᲕᲠᲘᲚᲘ ᲠᲐᲡ ᲐᲙᲔᲗᲔᲑᲓᲐ ᲘᲛᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲗ, ᲗᲣ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲐᲮᲡᲜᲘᲡ ᲐᲛᲑᲐᲜᲘ ᲓᲦᲔᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ ᲐᲛ ᲓᲘᲓᲘ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲜᲘᲗᲚᲔᲑᲐ?

— ᲠᲝᲒᲝᲠᲘ ᲘᲡᲐᲛᲝᲕᲜᲔᲑᲘᲗ. ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲝᲓ, ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲓᲐᲛᲧᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲔᲑᲘ. ᲒᲐᲡᲣᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲠᲘᲒᲘᲗ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲔᲑᲘ. ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲓᲐᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲯᲒᲣᲤᲘ. ᲛᲘᲡᲘ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲘᲗ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠ